დანართი 28

ფარმაცევტის თანაშემწე

პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2015

1. **პროფესიის დასახელება (ქართულად):**
ფარმაცევტის თანაშემწე

2. **პროფესიის დასახელება (ინგლისურად):**
Assistants Pharmacist

3. **პროფესიული სტანდარტის კოდი:** 090351

4. **პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:** 09103-ს

5. **პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით**– 3213.

6. **პროფესიის აღწერა:**
ფარმაცევტის თანაშემწის მოვალეობაა ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, განთავსებისა და აღწერის პროცესში მონაწილეობა, ნაშთის პერიოდული კონტროლი, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოება, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადება, პროდუქციის შენახვა, განთავსება და პარაფარმაცევტული პროდუქციის გაშვება.

7. **სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:**
ფარმაცევტის თანაშემწის ტიპური სამუშაო გარემოა შესაბამისად აღჭურვილი ოთახი/ოფისი. ფარმაცევტის თანაშემწე შეიძლება დასაქმდეს აფთიაქებში, ფარმაცევტული ბაზებზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

8. **აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:**
(კანონმდებლობით არ არის დადგენილი)

9. **კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:**
მეოთხე

10. **პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:**

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	**ფარმაცევტულ დაწესებულებაში პროდუქციის მიღების პროცესში მონაწილეობა**	1.1. ამოწმებს პროდუქტს ვიზუალურად 1.2. ამოწმებს შემოსული პროდუქტის იგივეობას 1.3. ამოწმებს სერიასა და ვადას 1.4. ითვლის პროდუქციას 1.5. აბარებს ანგარიშს პასუხისმგებელ პირს 1.6. განათავსებს პროდუქციას სათანადო ადგილას
2.	**სამუშაო პროცესში ნაშთის პერიოდული კონტროლი**	2.1. იღებს ინფორმაციას თეორიული ნაშთის შესახებ 2.2. ათვალიერებს ნაშთს ვიზუალურად 2.3. ამოწმებს რაოდენობას და იგივეობას 2.4. ამოწმებს სერიასა და შტრიხკოდს 2.5. ამოწმებს ვადას 2.6. აბარებს ანგარიშს პასუხისმგებელ პირს
3.	**მომხმარებელთან ურთიერთობა შიდა სტანდარტის მიხედვით**	3.1. ადგენს მომხმარებლის მოთხოვნას 3.2. შეურჩევს მომხმარებელს სასურველ პროდუქციას(გარდა ფარმაცევტული პროდუქტისა) 3.3. აგროვებს შერჩეულ პროდუქციას 3.4. აკონტროლებს პროდუქციას მომხმარებლის თვალწინ

		3.5. აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას პროდუქციის მიღების/გამოყენებისა და შენახვის პირობების შესახებ 3.6. ახდენს ანგარიშსწორებას
4.	**სხვადასხვა წამლის ფორმების დამზადება რეცეპტის შესაბამისად**	4.1. ეცნობა რეცეპტს 4.2. ემზადება სამუშაოს შესასრულებლად 4.3. ამზადებს წამლის ფორმას 4.4. ფუთავს წამალს 4.5. აკეთებს მარკირებას 4.6. გადასცემს წამალს პასუხისმგებელ პირს
5.	**მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება**	5.1. იღებს მოთხოვნას 5.2. ამზადებს სამუშაო ზონას 5.3. აფასოებს პროდუქციას 5.4. უკეთებს მარკირებას პროდუქციას 5.5. უზრუნველყოფს ინსტრუქციის თანხლებას 5.6. გადასცემს პროდუქციას პასუხისმგებელ პირს
6.	**სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა**	6.1. იცავს პირად ჰიგიენას 6.2. აწარმოებს ტემპერატურისა და ტენიანობის აღრიცხვას 6.3. ასუფთავებს პროდუქციას და მათი განთავსების ადგილებს

11. პიროვნული თვისებები:

- კომუნიკაბელური
- დაკვირვებული
- აკურატული
- ობიექტური
- კეთილსინდისიერი
- პუნქტუალური
- მოქნილი

12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალა:

<u>ხელსაწყოები:</u>

სასწორი, როდინი, დასაფასოებელი დაფა, საწონები, შპადელი, მინის წკირები, კოლბები, სპეციალური კოვზი, ქილები, შტანგლასები, ძაბრი, თერმომეტრი, საზომი ცილინდრი, ჰიგრომეტრი. დამცავი სათვალე, კონტეინერები, სათლი, მტვერსასრუტი, სპირტქურა, წყლის აბაზანა.

<u>დანადგარები:</u>

მაცივარი, კონდიციონერი, მაშრობი კარადა, წყლის გამოსახდელი აპარატი, დასაფასოებელი (დასათვლელი) აპარატი.

<u>მასალა:</u>

შესაფუთი მასალა, ფილტრის ქაღალდი, პერგამენტის ქაღალდი, სადეზინფექციო ხსნარი, ხალათი, ქუდი, ნიღაბი, ხელთათმანი, ბინტი, ბამბა, სპეციალური ნაჭრები. სხვადასხვა ზომის და ფერის დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით.

წამლის ფორმების მოსამზადებლად საჭირო ძირითადი და დამხმარე ინგრედიენტები: ფხვნილები, გამხსნელები, საცხის ფუძეები.

13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

- ფარმაცევტის თანაშემწის უფლება-მოვალეობების ცვლილება და სამუშაო გარემოსთან ადაპტირება.

14. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	**ფარმაცევტულ დაწესებულებაში პროდუქციის მიღების პროცესში მონაწილეობა**	• იცის პროდუქტის სასაქონლო სახე • იცის სტანდარტულად შეფუთული პროდუქციის სახე • იცის წერა-კითხვა სახელმწიფო, ლათინურ და სხვა უცხოურ ენებზე • იცის გენერიული და ბრენდული დასახელებების განსხვავებები • იცის ელემენტარული მათემატიკა • იცის ვარგისობის ვადის განსაზღვრის წესი • იცის, სად მოიძიოს შეფუთვაზე დატანილი აღმნიშვნელი ჩანაწერი • იცის სერიის წაკითხვის წესი • იცის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის აღწერილობა • იცის ჩანაწერის მართებულად გაკეთების წესი • იცის, პროდუქციის შენახვის პირობები • იცის FIFO-ს პრინციპი • იცის პროდუქციის განთავსების შიდა სტანდარტი	• შეუძლია შეფასება, დაკვირვება, ანალიზი, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება • შეუძლია სახელმწიფო და უცხოურ ენებზე წერა-კითხვა • შეუძლია მათემატიკური ელემენტების გამოყენება დოზის განსაზღვრისათვის • შეუძლია შეფუთვაზე დატანილი მონაცემების იდენტიფიცირება • შეუძლია დოზის გამოთვლა • შეუძლია გენერიული და ბრენდული დასახელებების გარჩევა • შეუძლია სერიის წაკითხვა • შეუძლია ვარგისობის ვადის დადგენა • შეუძლია ყურადღებით და დაკვირვებით საქმიანობა • შეუძლია ანგარიშის ჩაბარება • შეუძლია შედეგების დაფიქსირება • შეუძლია შენახვის პირობების მიხედვით განთავსება
2.	**სამუშაო პროცესში ნაშთის პერიოდული კონტროლი**	• იცის აფთიაქში არსებული პროდუქციის განლაგების პრინციპი • იცის ინვენტარიზაციის პრინციპი • იცის წამლის სავაჭრო და გენერიული დასახელების განსხვავებები • იცის სახელმწიფო, ლათინურად და სხვა უცხოურ ენებზე წერა-კითხვა • იცის მწარმოებლის მიხედვით პროდუქციის განსხვავების წესი • იცის პირველადი სასაქონლო	• შეუძლია ინვენტარიზაციის პრინციპის გამოყენება • შეუძლია სამუშაოს სწრაფად, დაკვირვებით და მოქნილად შესრულება • შეუძლია წამლის სავაჭრო და გენერიული დასახელების გარჩევა • შეუძლია მედიკამენტების განსხვავება მწარმოებლის მიხედვით • შეუძლია სახელმწიფო და უცხოურ ენებზე კითხვა • შეუძლია დოზირების დადგენა • შეუძლია მწარმოებლის დადგენა • შეუძლია დოკუმენტაციის გარჩევა • შეუძლია მოიძიოს შეფუთვაზე

		სახე • იცის შეფუთვაზე დატანილი მონაცემები დოზის, რაოდენობისა და მწარმოებლის დასახელების განლაგების პრინციპები • იცის მათემატიკის საფუძვლები • იცის სერიის მნიშვნელობა • იცის შეფუთვაზე სერიის მოძიებისა და სხვა ჩანაწერისგან განსხვავების წესი • იცის ვარგისობის ვადის დადგენის წესი გამოშვების თარიღის მიხედვით • იცის დოკუმენტის მიხედვით მიღებული შედეგის აღწერის წესი • იცის მონაცემების მეორადი გადამოწმების წესი • იცის ანგარიშის წარდგენის წესი	დატანილი სერია • შეუძლია სერიის წაკითხვა • შეუძლია განასხვაოს სერია და შტრიხკოდი • შეუძლია ვარგისობის ვადის მოძებნა შეფუთვაზე • შეუძლია ვარგისობის ვადის გამოთვლა მათემატიკის ელემენტების გამოყენებით • შეუძლია შედეგების ანალიზი • შეუძლია მონაცემების გადამოწმება • შეუძლია ანგარიშის სრულყოფილად წარდგენა
3.	**მომხმარებელთან ურთიერთობა შიდა სტანდარტის მიხედვით**	• იცის ეთიკის ნორმები • იცის კომუნიკაციის ეფექტური მეთოდი • იცის აფთიაქში არსებული ასორტიმენტი • იცის პროდუქტის განთავსების წესი • იცის მომხმარებლისთვის პარაფარმაცევტული პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი • იცის მოთხოვნის საფუძველზე ჩანაწერის გაკეთების წესი • იცის ნაშთის კონტროლის მეთოდი • იცის FIFO-ს პრინციპი • იცის დოკუმენტაციის მართებულად წაკითხვის წესი • იცის პროდუქტის დასახელების, მწარმოებლის შტრიხკოდის, ვარგისობის ვადის წაკითხვის ტექნიკა • იცის პროდუქტის მიღების/გამოყენების/	• შეუძლია მომხმარებელთან სრულყოფილი კომუნიკაცია • შეუძლია სიტუაციის გაანალიზება • შეუძლია მომხმარებლისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება • შეუძლია, კომპეტენციის ფარგლებში, მომხმარებლისათვის პროდუქციის შეთავაზება • შეუძლია მოთხოვნის წაკითხვა • შეუძლია ნაშთის კონტროლი • შეუძლია პროდუქტის სწრაფად შეგროვება • შეუძლია შეგროვილი პროდუქტის დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა • შეუძლია პროდუქციის ცნობა • შეუძლია პროდუქტის მიღების/გამოყენების/ მოხმარების წესების წაკითხვა • შეუძლია პროდუქტის შენახვის პირობების დადგენა • შეუძლია დამატებითი ინფორმაციის მოძიება • შეუძლია ანგარიშსწორების დოკუმენტის სწორად წაკითხვა • შეუძლია ანგარიშსწორების

		მოხმარების წესი • იცის პროდუქტის შენახვის პირობები • იცის მომხმარებლისათვის სასურველი ინფორმაციის მოძიების წყარო • იცის ანგარიშსწორების დოკუმენტის წაკითხვის წესი • იცის ანგარიშსწორების დოკუმენტსა და გასაცემ პროდუქტს შორის შესაბამისობის დადგენის მეთოდი • იცის გაცემის/გადაცემის წესი შიდა სტანდარტის მიხედვით	დოკუმენტში მითითებული ინფორმაციის შესაბამისობის დადგენა შეგროვილ და პაციენტისათვის სასურველ პროდუქტთან
4.	**სხვადასხვა წამლის ფორმების დამზადება რეცეპტის შესაბამისად**	• იცის რეცეპტის წაკითხვის წესი • იცის ლათინურად წერა-კითხვა • იცის მათემატიკის საფუძვლები • იცის რეცეპტით გამოწერილი ინგრედიენტების თვისებები, ტექნოლოგიური თავისებურებები • იცის სადეზინფექციო საშუალებების დანიშნულება • იცის ჭურჭლის დამუშავების წესი • იცის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები • იცის უსაფრთხოების ნორმები • იცის შიდა სტანდარტი • იცის ინგრედიენტების განთავსების წესი • იცის წამლის შემადგენლობაში შემავალი ინგრედიენტების თვისებები • იცის წამლის მომზადების ტექნოლოგია • იცის შესაბამისი ხელსაწყოების/მოწყო-ბილობების გამოყენების წესი • იცის შესაფუთავი მასალის თავისებურებანი	• შეუძლია რეცეპტის წაკითხვა ლათინურ ენაზე • შეუძლია მათემატიკური გაანგარიშება • შეუძლია სადეზინფექციო საშუალებების მართებულად გამოყენება • შეუძლია შიდა სტანდარტის მიხედვით ჰიგიენური ნორმების დაცვა • შეუძლია უსაფრთხოების წესების დაცვა • შეუძლია რეცეპტში შემავალი ინგრედიენტების თვისებების დადგენა • შეუძლია სათანადო ტექნოლოგიით რეცეპტში მითითებული წამლის ფორმის მომზადება • შეუძლია ხელსაწყოების/მოწყო-ბილობების გამოყენება • შეუძლია სათანადო შესაფუთი მასალის შერჩევა • შეუძლია შესაფუთი მასალისა და ჭურჭლის მოცულობის განსაზღვრა • შეუძლია ეტიკეტის სრულყოფილად შევსება • შეუძლია წამლის მომზადების პროცესის დეტალურად აღწერა • შეუძლია შესრულებული სამუშაოს შესახებ ზეპირი ანგარიშის წარდგენა

		• იცის ნტდ-ის მნიშვნელობა • იცის ეტიკეტის შერჩევის წესი • იცის რეცეპტის მიხედვით ეტიკეტის შევსების წესი • იცის წამლის ფორმათა ტექნოლოგია • იცის გამოყენებული შესაფუთავი მასალის თვისებები	
5.	**მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება**	• იცის მოთხოვნის შესახებ დოკუმენტის წაკითხვა/დამუშავების წესი • იცის ლათინურ ენაზე წერა-კითხვა • იცის პროდუქციის განთავსების პრინციპი • იცის შინაგანაწესი • იცის სამუშაო ზონისა და სათანადო მოწყობილობის დასუფთავების წესი • იცის შეფუთვის წესი • იცის დასაფასოებელი ხელსაწყოს გამოყენების წესი • იცის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები • იცის ელემენტარული მათემატიკა • იცის ეტიკეტის შევსების წესი • იცის მართლწერის საკითხები • იცის ინსტრუქციის მოძიების წყაროები • იცის ინსტრუქციის თანხლების აუცილებლობა • იცის ინსტრუქციის გამრავლების წესი	• შეუძლია დოკუმენტის გაანალიზება • შეუძლია პროდუქციის განთავსების ადგილის დადგენა • შეუძლია ლათინურად წერა-კითხვა • შეუძლია სამუშაოს სწრაფად და ხარისხიანად შესრულება • შეუძლია სტანდარტის მიხედვით სამუშაო ზონისა და მოწყობილობების დასუფთავება • შეუძლია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა • შეუძლია მათემატიკური გაანგარიშება • შეუძლია დასაფასოებელი ხელსაწყოს მართებულად გამოყენება • შეუძლია ეტიკეტის შევსება • შეუძლია სწორად და გარკვევით წერა • შეუძლია ინსტრუქციის მოძიება (კომპიუტერში, შეფუთვაში) • შეუძლია ასლის გადაღება • შეუძლია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება • შეუძლია დასაფასოებელი პროდუქტის ფარმაცევტთან ერთად გაკონტროლება • შეუძლია რაოდენობის გადათვლა დოკუმენტის შესაბამისად
6	**სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა**	• იცის ჩაცმის სტანდარტი • იცის სამუშაო ფორმის გამოყენების წესი და ადგილი • იცის ტემპერატურისა და ტენიანობის მნიშვნელობა • იცის ტემპერატურისა და ტენიანობის განმსაზღვრელი მოწყობილობიდან მაჩვენებლის აღების ტექნიკა • იცის ჟურნალში შესაბამისი	• შეუძლია ზონის მოთხოვნის გათვალისწინება/განსაზღვრა • შეუძლია თერმომეტრიდან და ჰიგრომეტრიდან მონაცემების აღება • შეუძლია მონაცემების გადატანა აღრიცხვის ჟურნალში • შეუძლია ნორმიდან გადახრის დაფიქსირება • შეუძლია სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების პრაქტიკულად გამოყენება

		ინფორმაციის გადატანის თანმიმდევრობა • იცის ტემპერატურისა და ტენიანობის შემოწმების პერიოდულობა • იცის, ვის მიაწოდოს ინფორმაცია ტემპერატურისა და ტენიანობის, სტანდარტთან შეუსაბამობის შემთხვევაში • იცის სტანდარტით გათვალისწინებული დასუფთავების პერიოდულობა • იცის სველი და მშრალი წესით დამუშავების გამოყენების პრინციპები • იცის სველი წესით დასუფთავების მიზნით გამოსაყენებელი ხსნარების ტიპები • იცის მშრალი წესით დასუფთავების მნიშვნელობა • იცის „მერჩენდაიზინგის“ პრინციპი • იცის FIFO-ს პრინციპი • იცის რაოდენობის მიხედვით პროდუქციის დოზირებისა და შეფუთვის პრინციპები • იცის პროდუქტის დოზირებისა და შეფუთვაში რაოდენობის განსაზღვრის წესი • იცის თერმომეტრის არსებობის აუცილებლობა მაცივრის ყველა დონეზე	• შეუძლია სათანადო სადეზინფექციო ხსნარის მომზადება • შეუძლია მშრალი წესით პროდუქციის დასუფთავება • შეუძლია „მერჩენდაიზინგის“ პრინციპის გამოყენება • შეუძლია FIFO-ს პრინციპის გამოყენება • შეუძლია პროდუქციის დოზირებისა და შეფუთვაში რაოდენობის განსაზღვრა • შეუძლია სველი წესით დამუშავება • შეუძლია შეფუთვაში დოზირებისა და რაოდენობის განსაზღვრა

15. სტანდარტის მოქმედების ვადა:

5 წელი

16. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1.	თეა გვასალია	შპს „ფარმანეტი“, ფარმაცევტის თანაშემწე
2.	ნანა ბიჩინაშვილი	კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აფთიაქი, ფარმაცევტი
3.	მარი უჩუმბეგაშვილი	შპს „ფარმ-მედ-გეო“, ფარმაცევტის თანაშემწე
4.	ნათია აფციაური	„PSP“, ფარმაცევტის თანაშემწე
5.	ხატია ფრუიძე	„PSP“, ფარმაცევტის თანაშემწე
6.	მაია დოლიძე	„ავერსი“, ფარმაცევტი

7.	ციცინო მერაბიშვილი	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აფთიაქი, ფარმაცევტის თანაშემწე
8.	გულნაზი ლოსაბერიძე	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აფთიაქი, ფარმაცევტის თანაშემწე
9.	ვალერი მუმლაძე	შპს „ფარმადეპო“, ფარმაცევტთა ასოციაცია
10.	ნანა შაშიაშვილი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
11.	დალი ბერაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი
12.	ნინო ჟვანია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი

შეფასების სტანდარტი

პროფესიის დასახელება: ფარმაცევტის თანაშემწე

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლებისა და/ან არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი ეფუძნება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. ის განსაზღვრავს სტანდარტში ასახული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და დადასტურების აუცილებელ პირობებს:
1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების ტერმინებში; 2. კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებშიც ასახულია აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები;
3. კომპეტენციების დადასტურებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს შეფასების პროცესის განხორციელების მიდგომებს.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მესამე ნაწილში (ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები) აღწერილი პროცედურები. შედეგები აისახება თანდართულ ფორმებში, რომლებიც დანართის სახით ახლავს დოკუმენტს.

ნაწილი 2. შეფასების კრიტერიუმები

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
პროფესიული მოვალეობა 1: ფარმაცევტულ დაწესებულებაში პროდუქციის მიღების პროცესში მონაწილეობა	
1.1. ამოწმებს პროდუქტს ვიზუალურად	1.1.1.ზუსტად აღწერს შეფუთვის მთლიანობას 1.1.2. სტანდარტის მიხედვით ამოწმებს პროდუქტის სასაქონლო სახეს
1.2. ამოწმებს შემოსული პროდუქტის იგივეობას	1.2.1.ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის დასახელება დოკუმენტაციაში მითითებულს 1.2.2.ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის დოზა დოკუმენტაციაში მითითებულს 1.2.3.ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის შეფუთვაში რაოდენობა დოკუმენტაციაში მითითებულს
1.3. ამოწმებს სერიასა და ვადას	1.3.1.ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის ვარგისობის ვადა დოკუმენტაციაში მითითებულს 1.3.2.ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის სერია დოკუმენტაციაში მითითებულს
1.4.ითვლის პროდუქციას	1.4.1.ზუსტად ადგენს მიღებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისობას დოკუმენტაციასთან
1.5.აბარებს ანგარიშს პასუხისმგებელ პირს	1.5.1. მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ზუსტად აღწერს მიღებულ შედეგს 1.5.2.შიდა სტანდარტის მიხედვით, სწორად აკეთებს ჩანაწერს
1.6.განათავსებს პროდუქციას სათანადო ადგილას	1.6.1.ინსტრუქციაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ზუსტად ასახელებს პროდუქციის შენახვის პირობებს 1.6.2.განათავსებს პროდუქციას განსაზღვრული შენახვის პირობების დაცვით 1.6.3.განათავსებს პროდუქციას FIFO-ს პრინციპის მიხედვით 1.6.4.განათავსებს პროდუქციას შიდა სტანდარტის

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	მიხედვით
პროფესიული მოვალეობა 2 : სამუშაო პროცესში ნაშთის პერიოდული კონტროლი	
2.1. იღებს ინფორმაციას თეორიული ნაშთის შესახებ	2.1.1.სწორად ასახელებს თეორიული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მოძიების წესს
2.2.ათვალიერებს ნაშთს (პროდუქციას) ვიზუალურად	2.2.1.ზუსტად აღწერს, ხომ არ არის დარღვეული შეფუთვის მთლიანობა 2.2.2. სტანდარტის მიხედვით ადგენს, ხომ არ არის დარღვეული პროდუქტის სასაქონლო სახე 2.2.3.აზუსტებს მედიკამენტის მწარმოებელს დოკუმენტის საფუძველზე
2.3.ამოწმებს რაოდენობას და იგივეობას	2.3.1.ადარებს პროდუქციის სახელწოდებას დოკუმენტში მითითებულ დასახელებას 2.3.2.ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ნაშთის რეალური რაოდენობა დოკუმენტში მითითებულს 2.3.3. აზუსტებს, ემთხვევა თუ არა მედიკამენტების დოზა დოკუმენტში მითითებულ დოზას 2.3.4.ამოწმებს მედიკამენტის რაოდენობას შეფუთვაში დოკუმენტთან შედარებით 2.3.5.ამოწმებს მედიკამენტების მწარმოებელი ქარხნების იდენტურობას დოკუმენტთან შედარებით
2.4. ამოწმებს სერიასა და შტრიხკოდს	2.4.1.უდარებს შეფუთვაზე დატანილ სერიას დოკუმენტაციაში მითითებულს 2.4.2.უდარებს შეფუთვაზე დატანილ შტრიხკოდს დოკუმენტაციაში მითითებულს 2.4.3.ადგენს შესაბამისობას პროდუქციასა და დოკუმენტაციას შორის
2.5.ამოწმებს ვადას	2.5.1.უდარებს შეფუთვაზე არსებულ ვადას დოკუმენტში მითითებულს
2.6. აბარებს ანგარიშს პასუხისმგებელ პირს	2.6.1.აკეთებს შესაბამისობის ჩანაწერს თეორიული ნაშთის შესახებ დოკუმენტის მიხედვით 2.6.2. აკეთებს ანალიზს და მონაცემების დამუშავებას

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	დოკუმენტის მიხედვით 2.6.3.ახდენს მონაცემების განმეორებით გადამოწმებას(ფაქტობრივი და თეორიული) 2.6.4.წარადგენს ანგარიშს შიდა სტანდარტის მიხედვით
პროფესიული მოვალეობა 3: მომხმარებელთან ურთიერთობა შიდა სტანდარტის მიხედვით	
3.1.ადგენს მომხმარებლის მოთხოვნას	3.1.1.თანმიმდევრულად აღწერს პირველადი კომუნიკაციის ელემენტებს და მომხმარებლის მოთხოვნის დადგენის წესებს 3.1.2.განმარტავს კომუნიკაციის თავისებურებებს ფარმაცევტული დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით
3.2.შეურჩევს მომხმარებელს სასურველ პროდუქციას (გარდა ფარმაცევტული პროდუქტისა)	3.2.1.სწორად ასახელებს ფარმაცევტულ დაწესებულებაში არსებულ ასორტიმენტს 3.2.2.განმარტავს ფარმაცევტული დაწესებულების ასორტიმენტში პროდუქტის არსებობის და მისი შერჩევის წესს
3.3.აგროვებს შერჩეულ პროდუქციას	3.3.1.აგროვებს პროდუქციას ჩანაწერის მიხედვით 3.3.2.აგროვებს პროდუქციას ვადების მიხედვით 3.3.3.ამოწმებს ნაშთის არსებობას
3.4.აკონტროლებს პროდუქციას მომხმარებლის თვალწინ	3.4.1. ადარებს შეგროვილი პროდუქციის ჩამონათვალს მოთხოვნის ჩანაწერთან 3.4.2.ახდენს შეგროვილი პროდუქციის გადამოწმებას
3.5.აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას პროდუქციის მიღების/გამოყენებისა და შენახვის პირობების შესახებ	3.5.1.ინსტრუქციის შესაბამისად განმარტავს პროდუქციის გამოყენების წესს, შენახვის პირობებს და სხვა დამატებით ინფორმაციას
3.6.ახდენს ანგარიშსწორებას	3.6.1.ზუსტად ადგენს ანგარიშსწორების დოკუმენტში დაფიქსირებული თანხის და/ან დასახელების შესაბამისობას გასაცემ პროდუქტთან 3.6.2.განმარტავს პროდუქტის შესაფუთ მასალაში მოთავსების და გადაცემის წესებს

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
პროფესიული მოვალეობა 4: სხვადასხვა წამლის ფორმების დამზადება რეცეპტის შესაბამისად	
4.1.ეცნობა რეცეპტს	4.1.1.ეცნობა რეცეპტში შემავალ ინგრედიენტებს 4.1.2.ადგენს რეცეპტის სისწორეს 4.1.3.სწორად ადგენს ინგრედიენტების დოზას, რაოდენობას და თვისებებს
4.2.ემზადება სამუშაოს შესასრულებლად	4.2.1. ამუშავებს სამუშაო ზონას სადეზინფექციო საშუალებებით სტანდარტის შესაბამისად 4.2.2. იმზადებს ჭურჭელს შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით 4.2.3.იცავს სანიტრულ-ჰიგიენურ ნორმებს 4.2.4.იცავს უსაფრთხოების წესებს
4.3.ამზადებს წამლის ფორმას	4.3.1.რეცეპტის მიხედვით აგროვებს წამლის ფორმის მოსამზადებლად ინგრედიენტებს 4.3.2.იყენებს წამლის მომზადების ტექნოლოგიის წესებს რეცეპტში შემავალი ინგრედიენტების თვისებების გათვალისწინებით 4.3.3.ახდენს ინგრედიენტების გაწონვას, რეცეპტში მითითებული რაოდენობის შესაბამისად 4.4.4.ამზადებს წამლის ფორმას შესაბამისი ტექნოლოგიით
4.4.ფუთავს წამალს	4.4.1.სწორად შეარჩევს შესაფუთ მასალას წამლის ფორმის, მოცულობის და ინგრედიენტების თვისებების გათვალისწინებით
4.5.აკეთებს მარკირებას	4.5.1.ავსებს ეტიკეტს რეცეპტის მიხედვით 4.5.2.აკეთებს დამატებით ჩანაწერს ეტიკეტზე წამლის ფორმის მომზადების თარიღის, დამამზადებლის და გამკონტროლებლის გვარის მითითებით
4.6.გადასცემს წამალს პასუხისმგებელ პირს	4.6.1.ღწერს რეცეპტის მიხედვით მომზადებულ წამლის ფორმას 4.6.2.აღწერს რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადების წესს 3.ასახელებს გამოყენებულ შესაფუთ მასალას ნტდ-ს

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	მიხედვით
პროფესიული მოვალეობა 5: მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება	
5.1.იღებს მოთხოვნას	5.1.1.ეცნობა მცირე შეფუთვებად დასაფასოებელი ფარმცევტული პროდუქტის შესახებ მოთხოვნის დოკუმენტს 5.1.2.ზუსტად ადგენს და პოულობს მოთხოვნილი პროდუქტის განთავსების ადგილს.
5.2.ამზადებს სამუშაო ზონას	5.2.1. ასუფთავებს სამუშაო ზონას სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვით
5.3.აფასოებს პროდუქციას	5.3.1. მოთხოვნის დოკუმენტის შესაბამისად გამოყოფს პროდუქტიდან საჭირო რაოდენობას და ათავსებს შესაბამის შესაფუთ მასალაში
5.4.უკეთებს მარკირებას პროდუქციას	5.4.1.ავსებს ეტიკეტს შესაბამისი წესის დაცვით.
5.5. უზრუნველყოფს ინსტრუქციის თანხლებას	5.5.1.ზუსტად განმარტავს პროდუქციასთან ინსტრუქციის თანხლების აუცილებლობას
5.6. გადასცემს პროდუქციას პასუხისმგებელ პირს	5.6.1.გადასცემს პროდუქტს დოკუმენტის შესაბამისი რაოდენობით 5.6.2.გადასცემს დაფასოებულ პროდუქტს ინსტრუქციის ასლის თანხლებით
პროფესიული მოვალეობა 6 : სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა	
6.1. იცავს პირად ჰიგიენა.	6.1.1.შემოსილია სტანდარტის შესაბამისად
6.2. აწარმოებს ტემპერატურულ ჟურნალს	6.2.1.ამოწმებს ტემპერატურასა და ტენიანობას შენობაში და მაცივარში დადგენილი ნორმის მიხედვით 6.2.2.ზუსტად აფიქსირებს მონაცემებს სპეციალურ ჟურნალში წესის დაცვით
6.3. ასუფთავებს ღია და დახურული ტიპის კარადებს	6.3.1.სწორად ასახელებს ღია და დახურული ტიპის კარადების დასუფთავების წესს და პერიოდულობას 6.3.2.სტანდარტის მიხედვით ასუფთავებს ღია და

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	დახურული ტიპის კარადებს მშრალი ან სველი წესით
6.4. აწესრიგებს პროდუქციას	6.4.1.ასუფთავებს პროდუქციას მშრალი წესით 6.4.2.აწესრიგებს პროდუქციას ფარმაცევტულ დაწესებულებაში განთავსების პრინციპის დაცვით
6.5. აწესრიგებს მაცივარს	6.5.1.ასუფთავებს მაცივარს სველი წესით 6.5.2.აწესრიგებს მაცივარში პროდუქციას განთავსების პრინციპის დაცვით 6.5.3.უზრუნველყოფს მაცივარში თერმომეტრის არსებობას ყველა დონეზე

ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები:

1. გამოკითხვა

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	შეფასების პროცესი
შესაფასებელი პირი ეცნობა გამოკითხვის პროცედურას; პასუხს სცემს შეკითხვებს შეფასებისათვის დადგენილი დროითი რეგლამენტის დაცვით	1. შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის ან/და ზეპირი შეკითხვების სახით 2. ტესტი შესაძლოა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს 3. გამოკითხვისათვის მაქსიმალური დროა 3 საათი 4. შესაძლოა შემფასებელმა მოითხოვოს შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული პასუხის არგუმენტირება, რისთვისაც შეფასების დროის ზემოთ დამატებით გამოიყოფა არაუმეტეს 15 წუთისა 5. გამოკითხვა ტარდება ნებისმიერ აუდიტორიაში ან ოთახში, რომელიც აღჭურვილია მაგიდებით და სკამებით გამოსაკითხი პირების ინდივიდუალური მუშაობის უზრუნველსაყოფად 6. არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება 7. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით ასევე შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. სტანდარტის ნაწილი 6)

2. პროცესზე დაკვირვება

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	შეფასების პროცესი
შესაფასებელი პირი ასრულებს შემფასებლის მიერ მიცემულ დავალებებს, რაც შეფასების სტანდარტით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უნარების დადასტურების საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად არჩევს საჭირო ინსტრუმენტებს, მოწყობილობებს, მასალებს	1.შეფასება უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში 2.შეფასება მოიცავს სამი ტიპის დავალებას: ა) ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, განთავსების, აღწერის პროცესში მონაწილეობის კონტროლი (1 სთ) ბ) მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებასა და რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადების პროცესზე დაკვირვება (1სთ) გ) მომხმარებელთან ურთიერთობაზე დაკვირვება ფარმაცევტული დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით და ფარმაცევტული ეთიკის დაცვით (1სთ) 3. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი უპასუხებს მათ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების არგუმენტირებას 4. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. სტანდარტის ნაწილი 6)

3. პროდუქტის/შედეგის შეფასება

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	შეფასების პროცესი
შესაფასებელ პირს შემფასებლის მიერ ეძლევა დავალებები, რაც უნდა შეასრულოს დამოუკიდებლად და წარმოადგინოს შექმნილი მტკიცებულებები სტანდარტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადასტურებისათვის	1.შეფასება უნდა განხორციელდეს ნებისმიერ გარემოში, სადაც შესაფასებელ პირს ექნება შესაბამისი დავალების შესრულების შესაძლებლობა. საჭიროა საკომუნიკაციო საშუალებების არსებობა, მათ შორის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი თითოეული შესაფასებელისათვის 2.დავალებების შესასრულებლად საჭიროა კაზუსების და პირველადი დოკუმენტაციის წინასწარ მომზადება 3.პროცესი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამუშაო ფორმების ბლანკებით, გამოწერილი რეცეპტებით, საჭირო დოკუმენტაციით, საკანცელარიო ნივთებით, რაც საჭიროა დაარქივებისათვის 4.შეფასება მოიცავს სამი ტიპის დავალებას: ა) ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, განთავსების, აღწერის პროცესის შესაბამისი დოკუმენტაციის შევსება(1 სთ) ბ) სამუშაო ფორმების და ჟურნალების შევსება და დაარქივება (1 სთ) გ) სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება (1 სთ). 5.შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელიუ პასუხებს მათ და საჭიროების

	შემთხვევაში ახდენს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების არგუმენტირებას მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომებით, ასევე შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. სტანდარტის ნაწილი 6)

ნაწილი 4. მითითებები შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპებს
- შეფასების კრიტერიუმებს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- შეფასების ორგანიზების თავისებურებებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებელისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თოთოეული შესრულების კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

1. გამოკითხვა

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		**შეფასება**	
		დადასტურდა	**არ დადასტურდა**
1.1.1	ზუსტად აღწერს შეფუთვის მთლიანობას		
1.5.1	მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ზუსტად აღწერს მიღებულ შედეგს		
1.6.1	ინსტრუქციაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ზუსტად ასახელებს პროდუქციის შენახვის პირობებს		
2.1.1 2.1.2	სწორად ასახელებს თეორიული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მოძიების წესს		
2.2.1	იხ. 1.1.1		
3.1.1	თანმიმდევრულად აღწერს პირველადი კომუნიკაციის ელემენტებს და მომხმარებლის მოთხოვნის დადგენის წესებს		
3.1.3	სწორად განმარტავს კომუნიკაციის თავისებურებებს და ეთიკის ნორმებს ფარმაცევტული დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით		
3.2.1	სწორად ასახელებს ფარმაცევტულ დაწესებულებაში არსებულ ასორტიმენტს		
3.2.2	განმარტავს ფარმაცევტული დაწესებულების ასორტიმენტში პროდუქტის არსებობის და მისი შერჩევის		

	წესს		
3.5.1 3.5.2 3.5.3	ინსტრუქციის შესაბამისად განმარტავს პროდუქციის გამოყენების წესს, შენახვის პირობებს და სხვა დამატებით ინფორმაციას		
3.6.2	სწორად განმარტავს პროდუქტის შესაფუთ მასალაში მოთავსების და გადაცემის წესებს		
4.1.1	ჩამოთვლის რეცეპტში შემავალ ინგრედიენტებს		
4.3.2	ასახელებს წამლის მომზადების ტექნოლოგიის წესებს რეცეპტში შემავალი ინგრედიენტების თვისებების გათვალისწინებით		
4.6.1	აღწერს რეცეპტის მიხედვით მომზადებული წამლის ფორმას		
4.6.2	აღწერს რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადების წესს		
4.6.3	ასახელებს გამოყენებულ შესაფუთ მასალას ნტდ-ს მიხედვით		
5.5.1	ზუსტად განმარტავს პროდუქციასთან ინსტრუქციის თანხლების აუცილებლობას		
5.6.3	აღწერს დაფასოებული პროდუქტის გაკონტროლების წესს		
6.3.1	სწორად ასახელებს ღია და დახურული ტიპის კარადების დასუფთავების წესსა და პერიოდულობას		

შედეგი: დადასტურდა ------/ არ დადასტურდა ----------

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

2. პროცესზე დაკვირვება

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		**შეფასება**	
		დადასტურდა	**არ დადასტურდა**
1.1.2.	სტანდარტის მიხედვით ამოწმებს პროდუქტის სასაქონლო სახეს		
1.2.1	ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის დასახელება დოკუმენტაციაში მითითებულს		
1.2.2	ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის დოზა დოკუმენტაციაში მითითებულს		
1.2.3	ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის შეფუთვაში რაოდენობა დოკუმენტაციაში მითითებულს		
1.3.1	ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის ვარგისობის ვადა დოკუმენტაციაში მითითებულს		
1.3.2	ზუსტად ადგენს, ემთხვევა თუ არა მიღებული პროდუქციის სერია დოკუმენტაციაში მითითებულს		
1.4.1	ზუსტად ადგენს, მიღებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისობას დოკუმენტაციასთან		
2.2.2	იხ.1.1.2.		
2.2.3 2.3.5	აზუსტებს მედიკამენტის მწარმოებელს დოკუმენტის საფუძველზე		

2.3.1	იხ.1.2.1		
2.3.2	ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ნაშთის რეალური რაოდენობა დოკუმენტში მითითებულს		
2.3.3	იხ.1.2.2		
2.3.4	იხ.1.2.3		
2.4.1	იხ.1.3.2		
2.4.2	ადარებს შეფუთვაზე დატანილ შტრიხკოდს დოკუმენტაციაში მითითებულს		
2.4.3	ადგენს შესაბამისობას პროდუქციასა და დოკუმენტაციას შორის		
2.5.1 2.5.2 2.5.3	უდარებს შეფუთვაზე არსებულ ვადას დოკუმენტში მითითებულს		
3.3.1	აგროვებს პროდუქციას ჩანაწერის მიხედვით		
3.3.2	აგროვებს პროდუქციას ვადების მიხედვით		
3.3.3	ამოწმებს ნაშთის არსებობას		
3.4.1	ადარებს შეგროვილი პროდუქციის ჩამონათვალს მოთხოვნის ჩანაწერთან		
3.4.2	ახდენს შეგროვილი პროდუქციის გადამოწმებას		
3.6.1	ადგენს ანგარიშსწორების დოკუმენტში დაფიქსირებული თანხის და/ან დასახელების შესაბამისობას გასაცემ პროდუქტთან		
4.1.2	ადგენს რეცეპტის სისწორეს		
4.1.3	სწორად ადგენს ინგრედიენტების დოზას,რაოდენობას და თვისებებს		
4.2.1	ამუშავებს სამუშაო ზონას სადეზინფექციო საშუალებებით		
4.2.2	იმზადებს ჭურჭელს შესასრულებელი სამუშაოს		

	მიხედვით		
4.2.3	იცავს სანიტრულ-ჰიგიენურ ნორმებს		
4.2.4	იცავს უსაფრთხოების ნორმებს		
4.3.1	რეცეპტის მიხედვით აგროვებს წამლის ფორმის მოსამზადებლად ინგრედიენტებს		
4.3.3	ახდენს ინგრედიენტების გაწონვას, რეცეპტში მითითებული რაოდენობის შესაბამისად		
4.3.4	ამზადებს წამლის ფორმას შესაბამისი ტექნოლოგიით		
5.1.1	ეცნობა მცირე შეფუთვებად დასაფასოებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესახებ მოთხოვნის დოკუმენტს		
5.1.2	ზუსტად ადგენს და პოულობს მოთხოვნილი პროდუქტის განთავსების ადგილს		
5.2.1	იხ.4.2.1		
5.2.2	ასუფთავებს პროდუქციის სათვლელ მოწყობილობას.		
5.2.3	იხ.4.2.3		
5.3.1	მოთხოვნის დოკუმენტის შესაბამისად გამოყოფს პროდუქტიდან საჭირო რაოდენობას და ათავსებს შესაბამის შესაფუთ მასალაში		
5.6.1	გადასცემს პროდუქტს დოკუმენტის შესაბამისი რაოდენობით		
6.2.1	ამოწმებს ტემპერატურასა და ტენიანობას შენობაში და მაცივარში დადგენილი ნორმის მიხედვით		
6.3.2 6.4.1 6.5.1	ასუფთავებს პროდუქციას, მაცივარს, ღია და დახურული ტიპის კარადებს მშრალი ან სველი წესით სტანდარტის მიხედვით		
6.3.3	არჩევს შესაბამის სადეზინფექციო ხსნარს		

შედეგი: დადასტურდა ------/ არ დადასტურდა ----------
შემფასებლის კომენტარი (მათ შორის, მტკიცებულებათა ჩამონათვალი):
დადასტურება:

3. პროდუქტის/შედეგის შეფასება

შესაფასებელი პირის სახლი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		**შეფასება**	
		დადასტურდა	**არ დადასტურდა**
1.5.2	შიდა სტანდარტის მიხედვით გაკეთებულია სწორი ჩანაწერი		
1.6.2	განთავსებულია პროდუქცია განსაზღვრული შენახვის პირობების დაცვით		
1.6.3	განთავსებულია პროდუქცია FIFO-ს პრინციპის მიხედვით		
1.6.4	განთავსებულია პროდუქცია შიდა სტანდარტის მიხედვით		
2.6.1 2.6.2	გაკეთებულია ანალიზი და მონაცემების დამუშავება დოკუმენტის მიხედვით		
2.6.3.	განმეორებით გადამოწმებულია მონაცემები (ფაქტობრივი და თეორიული)		
2.6.4	წარდგენილია ანგარიში შიდა სტანდარტის მიხედვით		
3.3.1	გაკეთებულია ჩანაწერი მოთხოვნის საფუძველზე		
4.4.1	სწორად შერჩეულია შესაფუთი მასალა წამლის ფორმის, მოცულობის და ინგრედიენტების თვისებების გათვალისწინებით		
4.5.1	შევსებულია ეტიკეტი რეცეპტის მიხედვით		
4.5.2	გააკეთებულია დამატებითი ჩანაწერი ეტიკეტზე წამლის ფორმის მომზადების თარიღის, დამამზადებლისა და გამკონტროლებლის გვარის მითითებით		
5.4.2	შევსებულია ეტიკეტი შესაბამისი წესის დაცვით		

5.4.3			
5.6.2	გადაცემულია დაფასოებული პროდუქტი ინსტრუქციის ასლის თანხლებით		
6.1.1	შემოსილია შიდა სტანდარტის შესაბამისად		
6.2.2 6.2.4	ზუსტად დაფიქსირებულია მონაცემები სპეციალურ ჟურნალში წესის დაცვით		
6.4.2 6.4.3 6.4.4	მოწესრიგებული/დალაგებულია პროდუქცია, ფარმაცევტულ დაწესებულებაში განთავსების პრინციპის დაცვით		
6.5.2	იხ.6.4.2		
6.5.3	იხ.6.4.2		
6.5.4	სტანდარტის შესაბამისად უზრუნველყოფილია მაცივარში თერმომეტრის არსებობა ყველა დონეზე		

შედეგი: დადასტურდა ------/ არ დადასტურდა ----------

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის, მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

კომპეტენციათა დადასტურების ფორმა

პროფესიული ამოცანა	დადასტურდა	არ დადასტურდა
პროფესიული მოვალეობა 1: ფარმაცევტულ დაწესებულებაში პროდუქციის მიღების პროცესში მონაწილეობა		
1.1.ამოწმებს პროდუქტს ვიზუალურად		
1.2.ამოწმებს შემოსული პროდუქტის იგივეობას		
1.3.ამოწმებს სერიასა და ვადას		
1.4.ითვლის პროდუქციას		
1.5.აბარებს ანგარიშს პასუხისმგებელ პირს		
1.6.განათავსებს პროდუქციას სათანადო ადგილას		
პროფესიული მოვალეობა 2: სამუშაო პროცესში ნაშთის პერიოდული კონტროლი		
2.1. იღებს ინფორმაციას თეორიული ნაშთის შესახებ		
2.2.ათვალიერებს ნაშთს (პროდუქციას) ვიზუალურად		
2.3.ამოწმებს რაოდენობას და იგივეობას		
2.4. ამოწმებს სერიასა და შტრიხკოდს		
2.5.ამოწმებს ვადას		
2.6. აბარებს ანგარიშს პასუხისმგებელ პირს		
პროფესიული მოვალეობა 3: მომხმარებელთან ურთიერთობა შიდა სტანდარტის მიხედვით		
3.1.ადგენს მომხმარებლის მოთხოვნას		
3.2.შეურჩევს მომხმარებელს სასურველ პროდუქციას(გარდა ფარმაცევტული პროდუქტისა)		
3.3.აგროვებს შერჩეულ პროდუქციას		
3.4.აკონტროლებს პროდუქციას მომხმარებლის თვალწინ		
3.5.აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას პროდუქციის მიღების/გამოყენებისა და შენახვის პირობების შესახებ		
3.6.ახდენს ანგარიშსწორებას		
პროფესიული მოვალეობა 4: სხვადასხვა წამლის ფორმის დამზადება რეცეპტის შესაბამისად		
4.1.ეცნობა რეცეპტს		
4.2.ემზადება სამუშაოს შესასრულებლად		

პროფესიული ამოცანა	დადასტურდა	არ დადასტურდა
4.3.ამზადებს წამლის ფორმას		
4.4.ფუთავს წამალს		
4.5.აკეთებს მარკირებას		
4.6.გადასცემს წამალს პასუხისმგებელ პირს		
პროფესიული მოვალეობა 5: მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება		
5.1.იღებს მოთხოვნას		
5.2.ამზადებს სამუშაო ზონას		
5.3.აფასოებს პროდუქციას		
5.4.უკეთებს მარკირებას პროდუქციას		
5.5. უზრუნველყოფს ინსტრუქციის თანხლებას		
5.6. გადასცემს პროდუქციას პასუხისმგებელ პირს		
პროფესიული მოვალეობა 6 : სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა		
6.1. იცავს პირად ჰიგიენას		
6.2. აწარმოებს ტემპერატურულ ჟურნალს		
6.3. ასუფთავებს ღია და დახურული ტიპის კარადებს		
6.4. აწესრიგებს პროდუქციას		
6.5. აწესრიგებს მაცივარს		

დადასტურება: